პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

# საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1924 წ.

# Собрание Узаконений и Распоряжений Рабоче-Крест. Правит. Грузии 1924 г.

1924 წ. სექტემბ. 8 | № 2*) | ნაწ. პირველი

8 Сентяб. 1924 г. | № 2*) | Отд. ПЕРВЫЙ

## შინაარსი:

ც. ა. კ. და ს. კ. ს. დადგენილებანი.

1. დადგენილება № 100 ც. ა. კ. „კურორტების სამთო-სასანიტარო ოლქის ფარგლებში ჯან. სახ. კომ. მიერ გამოცემულ სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიულ წესით დასჯის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“.

2. დადგენილება № 101 ც. ა. კ. „წითელ-არმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფისათვის 1923 წლ. ივნისის 23-ს გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ“.

3. დადგენილება № 102 ც. ა. კ. „ადგილობრივი შემოსავლის გასაძლიერებლად სახელმწიფო გადასახადსა და გამოსაღებზე ზედნართის დაწესების შესახებ“.

4. დადგენილება № 26 ს. კ. ს. „გზირის გასამრჯელოს შესახებ სამოქალაქო საქმის გამო შესატყობინებლის ჩაბარებისათვის“.

5. დადგენილება № 27 ს. კ. ს. „შრომა-გასწორების გარდამავალი სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“

6. დადგენილება № 28 ს. კ. ს. „კომერციულ ანგარიშის საფუძველზე მომქმედ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა (ტრესტთა) დებულების დამტკიცების შესახებ“.

*) № 1-ში მოთავსებული იქნება კანონმდებლობა 1924 წ. პირველი ნახევრისა.

## СОДЕРЖАНИЕ:

Постановления ВГЦИК и СНК.

1. Постан. № 100 Ц. И. К. „О введении в действие Положения о наложении наказаний в административном порядке на лиц, нарушивших санитарные обязательные постановл., изданныя Народ. Комис. Здравоохр. в округе горно-санитарной охраны курортов“.

2. Постан. № 101 Ц. И. К. „Об изменении ст. 5 декрета от 28 июня 1923 г. об обеспечении красноармейцев и их семейств.“

3. Постан. № 102 Ц. И. К. „О взимании в местные доходы надбавок к государственным налогам и сборам“.

4. Постан. № 26 С. Н. К. „О плате рассыльным за вручение извещений по гражданским делам.“

5. Постан. № 27 С. Н. К. „О переходных исправительно-карательных домах“.

6. Постан. № 28 С. Н. К. „Об утверждении положения о государственных промышл. предприятиях Соц. Сов. Респ. Грузии, действующих на началах коммерческого расчета (трестах).“

*) В № 1 будет помещено законодательство первой половины 1924 г.

## 1. დადგენილება № 100

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**კურორტების სამთო-სასანიტარო ოლქის ფარგლებში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნების დღიდან ამასთანავე დართული დებულება კურორტების სამთო-სასანიტარო ოლქის ფარგლებში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**კურორტების სამთო-სასანიტარო ოლქის ფარგლებში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სასანიტარო სავალდებულო დადგენილობათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ**

1. იმ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, რასაც ჯანმრთელობის სახალხო კამისარიატი გამოსცემს თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. თებერვლის 3-ის დეკრეტის (საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ) მე-9-მუხლისა, კურორტებზე სანიტარული მდგომარეობის დაცვის შესახებ, დამნა-

## 1. ПОСТАНОВЛЕНИЕ № 100

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О введении в действие Положения о наложении наказаний в административном порядке на лиц, нарушивших санитарные обязательные постановления, изданные Народным Комиссариатом Здравоохранения в Округе горно-санитарной охраны курортов.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет постановляет: Ввести в действие со дня его обнародования приложенное при сем положение о наложении наказаний в административном порядке на лиц, нарушивших санитарные обязательные постановления, изданные Народным Комиссариатом Здравоохранения в округе горно-санитарной охраны курортов.

Председатель Всегрузинск. Центрального Исполнительного Комитета Советов **М. Цхакая.**

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов **П. Сабашвили.**

### П О Л О Ж Е Н И Е.

**О наложении наказаний в административном порядке на лиц, нарушивших санитарные обязательные постановления, изданные Народным Комиссариатом Здравоохранения в округе горно-санитарной охраны курортов.**

За нарушение обязательных постановлений об охране санитарного состояния на курортах, изданных Народным Комиссариатом Здравоохранения на основании ст. 9 декрета Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров ССРГ от 3 февраля 1923 г. (О лечебных местностях (курортах) общегосударственного значения) на виновных может быть наложено в административном порядке следующее наказание:

შავეთ შეიძლება დაედოს ადმინისტრატიული წესით შემდეგი სასჯელი:

ა) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 100 მან. ჩერვონეცით;

ბ) იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად ორ თვემდე;

გ) გამოსახლება კურორტიდან.

2. სავალდებულო დადგენილების დარღვევის გამო შედგენილი უნდა იქნეს ოქმი, რასაც ხელს მოაწერენ კურორტის სასანიტარო ექიმი ან სხვა, ოქმის შესადგენად უფლება-მოსილი, თანამდებობის პირი, სასანიტარო კომისიის წევრები, სავალდებულო დადგენილების დამრღვევი პირი და მოწმეები. უკეთუ დადგენილების პირი უარს იტყვის ხელის მოწერაზე, ეს გარემოება ოქმში უნდა აღინიშნოს და თანაც ნაჩვენები იქნეს უარის მოტივი.

3. ოქმი დაუყონებლივ უნდა წარედგინოს სათანადო საკურორტო სამმართველოს, გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ. დადგენილება ძალაში შედის კურორტის დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ.

**შენიშვნა.** უკეთუ ოქმიდან სჩანს, რომ სავალდიბულო დადგენილების დამრღვევს ჰბრალდება ისეთი ქმედობა, რაც სასამართლოს წესით უნდა იქნეს დევნილი, საქმე გადაეცემა სათანადო პროკურორს ან მის ამხანაგს შემდგომი წარმართვისათვის.

4. ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადების დროს დაცულ უნდა იქნეს შემდეგი:

ა) დადგენილებაში ნათლად უნდა იქნეს აღნიშნული: დადგენილების დამრღვევის ვინაობა, მის მიერ ჩადენილი დარღვევა და აგრეთვე რა სასჯელიც მიესაჯა;

ბ) დარღვევა, რომელიც დამრღვევს ბრალდება სისწორით უნდა შეესაბამებოდეს იმ ქმედობას, რაც უწყებულ სავალდებულო დადგენილებაშია აღნიშნული;

გ) ადმინისტრატიული წესით სასჯელი შეიძლება დაედოს დამნაშავეს ორი თვის განმავლობაში დღიდან დარღვევის გამოაშკარავებისა;

დ) უკეთუ ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადებამდე სავალდებულო დადგენილების დარღვევის საქმეს სასამართლო მიიღებს განსახილველად, დამრღევი არ შეიძლება იმავე ქმედომისა-

а) денежный штраф не более 100 руб. червон.

б) принудительные работы без лишения свободы до 2 х месяцев,

в) выселение с курорта.

2. В случае нарушения обязательного постановления должен быть составлен протокол, который подписывается санитарным врачем курорта или другим должностным лицом, уполномоченным на составление протокола, членами санитарной комиссии, и равно и лицом, нарушившим обязательное постановление, и свидетелями. Если лицо виновное в нарушении откажется от подписи, то это обстоятельство должно быть отмечено в протоколе с указанием мотивов отказа.

3. Протокол же немедленно представляется соответствующему курортному управлению, где выносится постановление о наказании в административном порядке виновных в нарушении обязательного постановления. Постановление вступает в силу по утверждении его директором курорта.

**Примечание.** В случае если из протокола будет ясно, что лицо виновное в нарушении обвиняется в деянии, преследуемом в судебном порядке, дело передается соответствующему прокурору или товарищу прокурора для дальнейшего направления.

4. При наложении наказания в административном порядке должны быть соблюдены следующие правила:

а) в постановлении должны быть ясно указаны: личность виновного в нарушении, совершенное им нарушение, а равно размер наказания;

б) нарушение, которое вменяется в вину нарушителю, должно точно соответствовать тому деянию, которое отмечено в указанном обязательном постановлении;

в) наложение на виновного наказания в административном порядке возможно лишь в продолжении двух месяцев со дня обнаружения нарушения;

г) если до наложения наказания в административном порядке дело о нарушении указанного обязательного постановления примет суд для рассмо-

თვის ადმინისტრატიული წესითაც დაისაჯოს.

5. დადგენილება, რომლითაც სასჯელია დადებული, წერილობითი უნდა იყოს და გამოეცხადოს იმ პირს, ვისაც ეს სასჯელი დაედო.

6. ადმინისტრატიული წესით დასჯილს, უკეთუ იგი უკმაყოფილი იქნება, შეუძლიან სთხოვოს სათანადო საკურორტო სამმართველოს გადასინჯოს მის წინააღმდეგ გამოტანილი დადგენილება ან ეს დადგენილება განასაჩივროს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შვიდი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილების გამოტანისა; საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს დადგენილებ. სისრულეში მოყვანას.

7. სავალდებულო დადგენილების დაძრღვევისათვის გადაწყვეტილი სასჯელი სასრულეში მოჰყავს ადგილობრივი მილიციის უფროსს, რომელსაც უნდა გაეგზავნოს დადგენილება სასჯელის დადების შეს ხებ.

უკეთუ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს სამხედრო სამსახურში მყოფი პირი, მისთვის გადაწყვეტილი სასჯელი სისრულეში მიყვანილ უნდა იქნეს სათანადო სამხედრო უფროსის მეშვეობით, რომელსაც უნდა გაეგზავნოს დადგენილება სასჯელის დადების შესახებ.

8. სასანიტარო სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ჯარიმად დადებული ფული შედის საკურორტო სამმართველოს სალაროში და აუცილებლად მოხმარდება სათანადო კურორტის სასანიტარო-საგიგიენო საჭიროებას; ამავე მიზნისათვის გამოყენებული უნდა იქნენ აგრეთვე ის პირნი, ვისაც სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის იძულებითი მუშაობა აქვთ მისჯილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი**

1924 წ. ივლისის 2.
ტფილისი სასახლე

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე—150 №-ში 1924 წ. ივლისის .

трения, то виновный в нарушении за то же деяние не может быть наказан одновременно и в административном порядке.

5. Постановление о наложении наказания должно быть изложено в письменной форме и об‘явлено лицу, на которое оно наложено.

6. Лицо, недовольное наложенным на него в административном порядке наказанием, может просить соответствующее курортное управление о пересмотре вынесенного о нем постановления или же обжаловать таковое в Народный Комиссариат Здравоохранения в семидневный срок со дня вынесения постановления. Подача жалобы не останавливает приведения в исполнение постановления.

7. Наказание, наложенное за нарушение обязательного постановления, приводится в исполнение местным начальником милиции, которому должно быть переслано постановление о наложении наказания.

Если обязательное постановление будет нарушено лицом, находящимся на военной службе, наложенное на него наказание должно быть приведено в исполнение через посредство военного начальства, которому должно быть переслано постановление о наложении наказания.

8. Денежный штраф, наложенный за нарушение санитарного обязательного постановления, поступает в кассу курортного управления и может быть израсходовано лишь на соблюдение санитарно гигиенических условий на курортах, для тех же целей должны быть использованы лица, на которых в административном порядке наложено взыскание в виде принудительных работ.

Председатель Всегрузинск. Центрального Исполнительного Комитета Советов **М. Цхакая.**

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов **П. Сабашвили.**

1924 г. Июля 2.
Тифлис—Дворец

Распубликовано в газ. „Коммунист“ — № 150 от 4 июля 1924 г.

## 2. დადგენილება № 101

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**წითელარმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფისათვის 1923 წლის ივნისის 23-ს გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.**

რადგანაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლ აპრილის 24-ს გამოცემული დეკრეტით ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ შეცვლილია ის წესი, რომლითაც განისაზღვრება წითელარმიელთათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების გასაადვილებლად მისაცემი შეღავათი, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

წითელარმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ 1923 წლის ივნისის 23-ს გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

წითელარმიელთ, სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გასტუმრების გასაადვილებლად, მიეცემა შემდეგი შეღავათი:

ა) გადასახადის გამოსაანგარიშებლად მეურნეობაში მყოფ მჭამელთა აღნუსხვის დროს მჭამელთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს ყველა ის პირი, ვინც იმყოფება წითელ არმიისა, საზღვაო და საჰაერო ფლოტის სამსახურში და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ჯარში; ხოლო კურსანტები და სარაზმო საკომანდო შედგენილობის პირნი არმიისა (ბატალიონის კომანდირამდე—მისიანად) ფლოტისა (საზღვაო და საჰაერო) და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ჯარისა—ჩაითვლება თვითეული ორ მჭამელად.

ბ) პ. „ა"-ში ჩამოთვლილ პირთა ოჯახები, რომელთაც არა ჰყავთ თავიანთ შორის შრომის უნარიანი მამაკაცი, განთავისუფლდებიან მხოლოდ შენაწერი გადასახადისაგან, უკეთუ თვითეულ მჭამელზე მიწა და საქონელი სახნავზე გადატანით ნახევარ დესეტინაზე ნაკლები

## 2. ПОСТАНОВЛЕНИЕ № 101

Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов

**Об изменении ст. 5 декрета от 28 июня 1923 г. об обеспечении красноармейцев и их семейств.**

В виду изменения декретом Закавкасского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров ЗСФСР, от 24 апреля 1924 г., о едином сельско-хозяйственном налоге—порядка установления льгот для семей красноармейцев в уплате сельско-хозяйственного налога, Всегрузинский Центральный Исполн. Комитет Совет. постановляет: ст. 5 декрета от 28 июня 1923 года—об обеспечении красноармейцев и их семейств—изложить следующим образом:

В целях облегчения уплаты сельско-хозяйственного налога—красноармейцам и их семьям предоставляются следующие льготы:

а) при учете едоков в хозяйстве для исчисления налога, зачисляются в число едоков все состоящие на службе в Красной Армии, Морском и Воздушном флотах и войсках ЗЧК; курсанты же и лица строевого командного состава армии (до командира батальона—включительно), флота (Морского и Воздушного) и войск ЗЧК—зачисляются за два едока каждый;

б) семьи перечисленных в п. а лиц, неимеющие в своем составе трудосп. мужчин, освобождаются от уплаты всего причитающегося с них налога, если на едока приходится земли и скота в переводе на пашню менее полдесятины и если в хозяйстве менее 5 едоков;

в) семьи перечисленных в п. а лиц, имеющие земли и скота в переводе на пашню менее полдесятины на едока, при наличии трудоспособных мужчин, освобождаются от половины причитающегося налога, если в хозяйстве менее 5 едоков;

მოდის და უკეთუ მეურნეობაში 5 მჭამელზე ნაკლებია.

გ) პ. „ა“-ში ჩამოთვლილ პირთა ოჯახები, რომელთაც მიწა და საქონელი სახნავზე გადატანით თვითეულ მჭამელზე ნახევარ დესეტინაზე ნაკლები აღმოაჩნდებათ, ხოლო შრომის უნარიანი მამაკაცები-კი ეყოლებათ, განთავისუფლდებიან ნახევარი შენატ‍ერი გადასახადისაგან, უკეთუ მეურნეობაში 5 მჭამელზე ნაკლები იქნება.

დ) სამოქალაქო ომის ინვალიდთა და იმ წითელარმიელთა ოჯახებს, რომელნიც ტყვეთ იმყოფებიან, აგრეთვე იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც წარვლენილ არიან პარტიულ სკოლებში, კომუნისტურ უნივერსიტეტში და მუშათა ფაკულტეტებზე, გადასახადის გასტუმრებისათვის აქვთ იგივე შეღავათი, რაც ნამდვილ სამსახურში მყოფ წითელარმიელთა ოჯახებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. ივლისის 7 ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნტის მე—158 №-ში 1924 წ. ივლისის 13.

г) семьи инвалидов гражданск. войны и красноармейцев, находящихся в плену, а также семьи лиц,—командируемых в партшколы, коммунистические университеты и рабфаки, пользуются теми же льготами по налогу, которыми пользуются семьи красноармейцев, состоящих на действительной службе.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов **М. Цхакая.**

Секретарь Всегрузинск. Центрального Исполнителяного Комитета Советов **П. Сабашвили.**

1924 г. Июля 7.

Тифлис—Двореп.

Распубликовано в газ. „Коммунист“ № 158 от 13 июля 1924 г.

## 3. დადგენილება № 102

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**ადგილობრივი შემოსავლის გასაძლიერებლად სახელმწიფო გადასახადსა და გამოსაღებზე ზედნართის დაწესების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: ნება მიეცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამაზრო (ქალაქების) აღმასრულებელ კომიტეტებს აილონ სახელმწიფო გადასახადსა და გამოსაღებზე შემდეგი ზედნართი:

1. ფუფუნების საგნების წარმოება-ვაჭრობისათვის დაწესებულ სახელმწიფო

## 3. ПОСТАНОВЛЕНИЕ № 102

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О взимании в местные доходы надбавок к государственным налогам и сборам.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет разрешить уездным (городским) исполнительным комитетам ССР Грузии взимать следующие надбавки к государственным налогам и сборам:

1. К государственному промысловому налогу как основному, так и дополнительному на производство предметов роскоши и торговли ими:

| | | |
|---|---|---|
| а) на торгов. | 1 и 2 разр. | 60% |
| б) „ | 3 и 4 „ | 80% |
| в) „ | 5 разряда | 100% |

სარეწავ გადასახადზე როგორც ძირითადისა, ისე დამატებითზე:

ა) 1 და 2 ხარისხის სავაჭროზე 60%
ბ) 3 და 4 „ „ . . 80%
გ) 5 „ „ . . 100%

2. სათანაბრო გამოსაღებზე . . 60%

3. სასმელებისა და თუთუნის ნაკეთობის გაყიდვისათვის გაცემულ პატენტებზე:

ა) 3 და 4 ხარისხის სავაჭროზე 75%
ბ) 5 „ „ . . 100%

**შენიშვნა**. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ აღძრან შუამდგომლობა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, რათა მათ უფლება მიეცეთ აილონ ზედნართი 100%-დე ყველა იმ გადასახადზე, რაც კი აღნიშნულია ამა დადგენილების 1,2 და 3 მუხლში, და აგრეთვე დააწესონ ეს ზედნართი 1 და 2 ხარისხის სავაჭროებისათვის (მუხლი 3).

4. სახელმწიფო სამონადირო გამოსაღებზე—ამ გამოსაღების 50%.

5. სასამართლო ბაჟზე—50%.

6. იმ სასყიდელზე, რომელსაც სანოტარო ორგანოები ახდევინებენ დამტკიცებული ნიხრისამებრ ამა თუ იმ მოქმედებისათვის, რაც გათვალისწინებულია ამ ნიხრში, აგრეთვე სახალხო სასამართლოში და სათანადო დაწესებულებაში ასლისა, ხელმონაწერისა და სხ. ამისთანა რამის შემოწმებისათვის—ამა სასყიდლის 50%.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1924 წ. ივლისის 21.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე—165 №-ში 1924 წ. ივლისის 23.

2. К уравнительному сбору — 60%

3. К цене патентов, выдаваемых на право продажи питей и табачных изделий в размере:

а) на торгов. 3 и 4 разр. 75%
б) „ 5 разряда 100%

**Примечание**. Местные исполкомы могут возбуждать ходатайства перед Центральным Исполнительным Комитетом о разрешении им взыскивать надбавку ко всем налогам, указанным в 1, 2 и 3 статьях сего постановления в размере до 100% и об установлении надбавок на торговлю 1 и 2 разрядов (3 ст.).

4. К государственному охотничьему сбору в размере 50% оклада этого сбора.

5. К судебной пошлине в размере 50%.

6. К плате, взимаемой нотариальными органами на основании утвержденной таксы за совершение всех действий, оплата коих предусматривается этой таксой, а равно за засвидетельствование в Народных Судах и подлежащих учреждениях копий, подписей и т. п. в размере 50% этой платы.

Председатель Всегрузинск. Центрального Исполнительного Комитета Советов **М. Цхакая.**

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов **П. Сабашвили.**

1924 г. Июля 21.

Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 165 от 23 июля 1924 г.

# 4. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 26

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალ. კომის. საბჭოსი**

**გზირის გასამრჯელოს შესახებ, სამოქალაქო საქმის გამო შესატყობინებლის ჩაბარებისათვის.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამოქალაქო საქმის გამო შესატყობინებლის ჩაბარებისათვის გზირის ხელით (სამოქ. სამ. საპროც. კოდ. 67 მუხლი) მოდავეს თვითეულ შესატყობინებელზე გამოერთმევა 15 კაპეიკი.

2. შესატყობინებლის მიტანისათვის გასამრჯელო გამოერთმევა იმ პირს, ვისთანაც იგი მიტანილია.

**შენიშვნა 1.** როდესაც შესატყობინებელი მოწმისა და ექსპერტისათვის არის ჩასაბარებელი, გასამრჯელოს გადაიხდის ის მოდავეთაგანი, რომლის თხოვნითაც მოწმე ან ექსპერტი არის დაბარებული.

**შენიშვნა 2.** როდესაც მოწმე და ექსპერტი სასამართლოს თაოსნობით იქნება დაბარებული, შესატყობინებლის ჩაბარების გასამრჯელო გადაჰხდება ორსავე მხარეს თანასწორად.

3. შესატყობინებლის ჩაბარებისათვის გადასახდელი გასამრჯელოს რაოდენობას სასამართლო აღნიშნავს თვით ჩასაბარებელ შესატყობინებელზე.

4. შესატყობინებლის ჩაბარებისათვის გასამრჯელო არ გამოერთმევა იმ დაწესებულებასა და პირს, რომელიც სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 44 მუხლშია აღნიშნული.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომ. საბჭ. თავმჯ. მოადგ. **ლ. ღოღობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომ. საბჭოს მდივანი **თ. კეჭაღმაძე.**

1924 წ. ივლისის 9.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე – 158 №-ში 1924 წ. ივლისის 13.

# 4. ПОСТАНОВЛЕНИЕ № 26

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии**

**О плате рассыльным за вручение извещений по гражданским делам.**

Совет Народных Комиссаров С.С.Р. Грузии постановляет:

1. За вручение извещений по гражданским делам через рассыльных с тяжущихся (ст. 67 Гражданского Процессуального Кодекса) взыскивается по 15 копеек с каждого извещения.

2. Плата за доставление извещений взыскивается с лица, которому извещение доставлено.

**Примечание 1.** За доставление извещений свидетелям и экспертам означенная плата взыскивается с того из тяжущихся, по ходатайству которого они вызываются.

**Примечание 2.** При вызове свидетелей и экспертов по усмотрению суда, плата за доставление им извещений взыскивается с обеих сторон поровну.

3. Размер подлежащей взысканию за вручение извещений платы обозначаются судом на самом извещении, вручаемом стороне.

4. Плата за вручение извещений не взыскивается с учреждений и лиц, означенных в ст. 44 Гражданского Процессуального Кодекса.

Зам Председателя Совета Народных Комис. Соц. Сов. Республики Грузии **Л. Гогоберидзе.**

Секретарь Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии **Ф. Кечакмадзе.**

1924 г. Июля 9.

Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист“ № 158 от 13 июля 1924 г.

08-04-01

## 5. დადგენილება № 27

**საქართველოს სოციალისტური საბჭ. რესპ. სახალხო კომის. საბჭოსი**

**შრომა-გასწორების გარდამავალი სახლის დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება შრომა-გასწორების გარდავალი სახლისა.

2. ამა დებულებისამებრ შრომა-გასწორების გარდამავალი სახლი დაარსდეს ქ. ტფილისში

3. შრომა-გასწორების გარდამავალი სახლისათვის დამტკიცებულ იქნეს შემდეგი შტატი, სახელმწიფო ხარჯით შესანახი:

1) დირექტორი — 1, 2) თანაშემწე, იგივე სამუშაოს გამგე—1, 3) კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გამგე — 1, 4) ზედამხედველი: უფროსი — 3, უმცროსი — 3.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარ. მოადგ. **ლ. ღოღობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს მდივანი **თ. კეჭაღმაძე.**

1924 წ. ივლისის 17.

ტფილისი—სასახლე.

## 5. ПОСТАНОВЛЕНИЕ № 27

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии**

**Об утверждении положения о переходных исправительно-трудовых домах.**

Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

1. Утвердить прилагаемое при сем положение о переходных исправительно-трудовых домах.

2. Согласно означенному положению переходный исправительно-трудовой дом учредить в г. Тифлисе.

3. Утвердить нижеследующий штат переходного исправительно-трудового дома, с отнесением его содержания на счет казны:

1) Директор—1, 2) Помощник, он же заведывающий работами—1, 3) Заведывающий культурно-просветительной работой—1, 4) Надзиратели: старшие—3, младшие—3.

Зам. Председателя Совета Народн. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии **Л. Гогоберидзе.**

Секретарь Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии **Ф. Кечакмадзе**

1924 г. Июля 17.

Тифлис—Дворец.

## დებულება

**შრომა-გასწორების გარდამავალ სახლისა.**

1. შრომა-გასწორების გარდამავალი სახლის მიზანს შეადგენს გამოცდა ისეთი პატიმრებისა, რომელთაც თავისუფლების ალკვეთის სახით გადაწყვეტილი სასჯელის ნაწილი უკვე მოიხადეს გამასწორებელ სახლში, რათა ნახევრად თავისუფალი რეჟიმის ვითარებაში, ხოლო ბეჯითი მეთვალყურეობის ქვეშ, გამორკვეულ იქნეს, თუ რამდენად შეეგუებიან ისინი თავისუფალ და შრომაზე დამყარებულ ცხოვრებას.

## ПОЛОЖЕНИЕ

**О переходных исправительно-трудовых домах.**

1. Переходные исправительно-трудовые дома имеют целью испытание заключенных, отбывших часть наказания лишением свободы в исправительном доме с тем, чтобы в обстановке полусвободного режима, под бдительным надзором, установить, насколько они приспособлены к свободной трудовой жизни.

2. В исправительно-трудовой дом принимается заключенный, который

2. შრომა - გასწორების გარდამავალ სახლში მიიღება პატიმარი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს თავისუფლების ალკვეთა სამ წელზე მეტი ვადით და გამასწორებელ სახლის კოლეგიის მიერ გადარიცხულია სამაგალითო პატიმართა რიგში; აგრეთვე ის, ვისაც გადაწყვეტილი აქვს თავისუფლების ალკვეთა სამ წელზე ნაკლები ვადით, ხოლო რომელსაც ერთ მეოთხედზე არა ნაკლები სასჯელი უკვე მოიხადა გასწორების გზაზე დამდგარ პატიმართა რიგში და თავის სამაგალითო ყოფაქცევით გამოიჩინა შრომისმოყვარეობა და წარმატება სასკოლო მეცადინეობაში.

აგრეთვე, როგორც გამონაკლისი, შეიძლება შრომა-გასწორების სახლში გადაყვანილ იქნეს ისეთი პატიმარი, რომელსაც თავისუფლება ალკეთილი აქვს ერთ წლამდე, უკეთუ იგი პროფესიონალურ დამნაშავეთა და გაუსწორებელ რეციდივისტთა კატეგორიას არ ეკუთვნის და გასწორების გზაზე დამდგართა რიგშია გადაყვანილი, იმისდა მიუხედავად, რამდენი დრო დაჰყო ამ რიგში.

3 შრომა-გასწორების გარდამავალ სახლში პატიმარი გადაიყვანება ცენტრალური განმანაწილებელი კომისიის დადგენილებით სათანადო საპატიმროს კოლეგიის(ან უფროსის) წარდგენისამებრ.

4. შრომა-გასწორების გარდამავალი სახლის რეჟიმი იმით განსხვავდება გამასწორებელ სახლში არსებულ რეჟიმისაგან, რომ, შრომისა და კულტურულ მუშაობის დისციპლინასთან ერთად, პატიმართ შედარებით მეტი თავისუფლება ეძლევათ შრომა-გასწორების სახლის გარეშე ურთიერთობის სფეროში.

5. ინდუვიდუალიზაცია ღონისძიებათა ზეგავლენისა პატიმრებზე შრომა გასწორების გარდამავალ სახლში მიღწეულ უნდა იქნეს უმაღლეს დონემდე.

6. შრომა-გასწორების გარდამავალი სახლის პატიმართ ნება ეძლევათ მთელი დღის განმავლობაში თავისუფალი ურთიერთობა იქონიონ შრომა-გასწორების სახლში; მიწერ-მოწერა, აგრეთვე პირად ანგარიშზე ჩარიცხული ფულის სურვილისამებრ მოხმარება თავისუფალია; გარეშეთა პირისპირ ნახვა და გადასაცემი რამის მიღება შეიძლება ყოველდღე.

7. შრომა - გასწორების გარდამავალი სახლის პატიმარს, გარდა საერთოდ დაწესებული შეებულებისა (საპ. ადგ. საერთო დებ. 57 მუხ.), საპატიმრო ად-

осужден свыше 3-х лет и перечислен коллегиею исправдома в образцовый разряд, а также осужденный хотя и менее, чем на три года, но отбывший в разряде исправляющихся не менее одной четверти наказания и примерным своим поведением проявивший трудолюбие и успехи в школьных занятиях.

Как исключение, осужденный и до одного года, не принадлежащий к категории профессиональных преступников и неисправных рецидивистов, может быть переведен в переходный исправительно-трудовой дом, после перечисления его, однако, в разряд исправляющихся, независимо от того сколько времени находился в этом разряде.

3. В исправительно-трудовые дома заключенные переводятся по постановленьям Центральной Распределительной Комиссии по представлению коллегии (или начальника) соответствующего места заключения.

4. Режим в переходных исправительно-трудовых домах отличается от режима в исправдомах тем, что в них (в переходных исправительно-трудовых домах), при общей трудовой и культурной дисциплине, устанавливается относительно большая свобода общения с внешним миром.

5. Индивидуализация мер воздействия на заключенных в переходных исправительных домах должна быть доведена до высшей степени.

6 Все заключенные переходного исправительно трудового дома пользуются в течение дня свободой общения в пределах мест заключения; переписка, а также распоряжение числящимися на их счету деньгами разрешается им без ограничений; свидания (непосредственные) и передачи допускаются ежедневно.

7. С разрешения начальника отдела мест заключения, заключенным в исправительно-трудовых домах, помимо общего установленного отпуска (57 ст. общего положения о местах заключения), даются кратковременные отлучки с вечера кануна праздничного дня до утра следующего за праздничным днем рабочего дня.

გილების განყოფილების უფროსის დასტურით ნება ეძლევა მცირე ხნით წავიდეს შრომა-გასწორების სახლიდან უქმედღეობით უქმის წინა საღამოდან უქმის შემდეგი სამუშაო დილამდე.

8. შრომა-გასწორების გარდამავალი სახლის პატიმარი ყოველ დღიურად იგზავნება (უდარაჯოდ) სამუშაოზე დაწესებულებაში და საწარმოში და მუშაობის შემდეგ ბრუნდება უკან; უდარაჯოდვე იგზავნება ქალაქში სხვა და სხვა მინდობილობით.

9. შრომა-გასწორების გარდამავალი სახლის ადმინისტრაცია ვალდებულია იცოდეს, როგორ იქცევა დაწესებულებასა და საწარმოში სამუშაოზე გაგზავნილი პატიმარი, რისთვისაც კავშირი უნდა დაიჭიროს იმ დაწესებულებისა და საწარმოს ადმინისტრაციასთან, ადგილობრივ კომიტეტთან და კომუნისტურ უჯრედთან.

10. იმ პატიმართათვის, რომელნიც შრომა-გასწორების გარდამავალი სახლის გარეშე არ მუშაობენ, სამუშაო და სახელოსნოები შრომა-გასწორების გარდამავალ სახლში უნდა მოეწყოს.

პატიმრებისათვის შრომის ხელფასის მიცემისა და მათ შესანახად გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად პროცენტული ანარიცხის წესი ისეთივეა, როგორც საერთო საპატიმრო ადგილებში და გათვალისწინებულია პატიმართა მუშაობის დებულებაში.

11. შრომა-გასწორების გარდამავალ სახლში, როგორც სადისციპლინო ღონისძიება, იხმარება: არსებული წესის მცირე დარღვევისათვის საყვედური; უფრო სერიოზული დარღვევისათვის — გადაყვანა გამასწორებელ სახლში.

> **შენიშვნა.** უკეთუ პატიმარი სამჯერ მიიღებს საყვედურს, ცენტრალურმა განმანაწილებელმა კომისიამ უეჭველად უნდა იქონიოს მსჯელობა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ამ პატიმრის შრომა-გასწორების გარდამავალ სახლში დატოვება.

12. იმ დადგენილებაში, რომლითაც პატიმარი გარდამავალ შრომა-გასწორების სახლიდან გამასწორებელ სახლშია გადაყვანილი, აღნიშნულ უნდა იქნეს რა რიგში ჩაირიცხება პატიმარი.

13. ხელმეორედ გადაყვანა პატიმრისა შრომა-გასწორების გარდამავალ სახლში

8. Заключенные в исправительно-трудовых домах ежедневно посылают-ся без стражи в учреждения и пред-приятия для работы и после работы возвращаются обратно: также без стражи могут быть посылаемы в город по разным поручениям.

9. Администрация переходного исправительно-трудового дома должна быть вполне осведомлена о поведении посланного на работу, для чего должна иметь общение (связь) с администрацией тех учреждений и предприятий, с местными комитетами и ком'-ячейками.

10. Для тех заключенных, которые не работают вне переходного исправительно-трудового дома, должны быть устроены в самом доме мастерские и другие работы.

Порядок выдачи заработной платы и процентного удержания на возмещение расходов на их содержание такой же, какой предусмотрен для общих мест заключения положением о работе заключенных.

11. В переходных исправительно-трудовых домах, в качестве дисциплинарных взысканий, применяются: за маловажные нарушения установленного порядка — выговор, а за более серьезные нарушения — перевод в исправительный дом.

> **Примечание.** О каждом заключенном, получившем три раза выговор, Центральная Распорядительная Комиссия обязательно должна иметь суждение о возможности дальнейшего его оставления в переходном исправительно-трудовом доме.

12. В постановлении о переводе заключенного из переходного исправительно-трудового дома в исправительный дом должно быть обозначено, в какой разряд зачисляется переведенный.

13. Вторичный перевод в переходный исправительно-трудовой дом может иметь место не ранее, чем через три месяца со дня перевода в Исправдом.

14. Для разрешения не предусмотренных этим положением вопросов

შეიძლება არა უადრეს სამი თვისა დღიდან გამასწორებელ სახლში დაბრუნებისა.

14. ყველა იმ საკითხის გადასაჭრელად, რაც ამ დებულებაში გათვალისწინებული არ არის, სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს საპატიმრო ადგილების საერთო დებულება.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ. თავმჯ. მოადგ. **ლ. ღოღობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს მდივანი **თ. კეჭაყმაძე.**

1924 წ. ივლისის 17.

ტფილისი—სასახლე.

надлежит руководствоваться общим положением о местах заключения.

Зам. Пред. Сов. Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии **Л. Гогоберидзе.**

Секретарь Совета Народных Комис. Соц. Сов. Респ. Грузии **Ф. Кечакмадзе.**

1924 г. Июля 17.

Тифлис—Дворец.

## 6. დადგენილება № 28

**საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**კომერციული ანგარიშის საფუძველზე მომქმედ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა (ტრესტთა) დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა (ტრესტთა) შესახებ, რომელნიც მოქმედებენ კომერციული ანგარიშის საფუძველზე.

საქ. სოც. საბჭ რესპ. სახალ. კომ. საბჭ. თავმჯ. მოადგ. **ლ. ღოღობერიძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **თ. კეჭაყმაძე.**

1924 წ. ივლისის 22.

ტფილისი—სასახლე.

## 6. ПОСТАНОВЛЕНИЕ № 28

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии**

**Об утверждении Положения о государственных промышленных предприятиях Соц. Сов. Респ. Грузии, действующих на началах коммерческого расчета (трестах).**

Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

Утвердить прилагаемое к настоящему постановлению Положение о государственных промышленных предприятиях Соц. Сов. Респ. Грузии, действующих на началах коммерческого расчета (трестах).

Зам. Председателя Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии **Л. Гогоберидзе.**

Секретарь Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии **Ф. Кечакмадзе.**

1924 г. Июля 22.

Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა (ტრესტთა) შესახებ, რომელნიც მოქმედებენ კომერციული ანგარიშის საფუძველზე.**

## I. ზოგადი დებულებანი.

მუხ. 1. სახელმწიფო ტრესტად ჩაითვლება საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, რომელსაც სახელმწიფო მიანიჭებს დამოუკიდებლობას ოპერაციების წარმოების საქმეში, თანახმად მისთვის დამტკიცებული წესდებისა, და რომელიც მოქმედებს კომერციული ანგარიშის საფუძველზე მოგების მიზნით.

ალნიშნულ ტრესტებს მოაწყობს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომლის გამგებლობაშიაც ისინი არიან და თავიანთი ვალდებულებისათვის პასუხს აგებენ იმ ქონების ფარგალში, რაც მათ განკარგულებაში იქნება.

სახელმწიფო ხაზინა პასუხს არ აგებს ტრესტის ვალებისათვის.

მუხ. 2. სახელმწიფო ტრესტს დღიდან მისი რეგისტრაციისა აქვს იურიდიული პირის უფლება.

მუხ. 3. თვითეული ტრესტი ერთიანი საწარმოა, რომლის შედგენილობაშიაც შედის ერთი ან რამდენიმე წარმოებითი ერთეული (საწარმო), როგორიც არის: ფაბრიკა, ქარხანა, სამრეწველო, განყოფილება, მაღაზია და სხ., რაც ჩამოთვლილი იქნება ტრესტის წესდებაში.

მუხ. 4. ტრესტი ფლობს, სარგებლობს და თავისი შეხედულებისამებრ მოიხმარს იმ სახელმწიფო ქონებას, რაც მას მიეცემა და აგრეთვე აწარმოებს თავის ოპერაციებს სამოქალაქო კანონთა საერთო საფუძველზე, მხოლოდ იმ გამონაკლისით, რაც ალნიშნულია ან რაც ალნიშნული იქნება ცალკე კანონებში. იმავე სამოქალაქო კანონთა საფუძველზე (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 21 მუხლი) სახელმწიფო ტრესტს მიეცემა სარგებლობის უფლებით მიწა, მიწის წიაღი, ტყე და წყალი.

მუხ. 5. ტრესტის დამოკიდებულება პროფესიონალურ კავშირთან მოწესრიგდება უკვე მომქმედი ან მომავალში ამ

# ПОЛОЖЕНИЕ

**Об утверждении Положения о государственных промышленных предприятиях Соц. Сов. Респ. Грузии, действующих на началах коммерческого расчета (трестах).**

## I. Общие положения.

Ст. 1. Государственными Трестами признаются подведомственные ВСНХ Грузии государственные промышленные предприятия, которым государство предоставляет самостоятельность в производстве своих операций, согласно утвержденного для каждого из них устава, и которые действуют на началах коммерческого расчета с целью извлечения прибыли.

Означенные Тресты организуются ВСНХ Грузии, находятся в его ведении и несут ответственность по своим обязательствам в пределах состоящего в их распоряжении имущества.

Государственная казна за долги Трестов не отвечает.

Ст. 2. Государственный Трест со дна его регистрации приобретает права юридического лица.

Ст. 3. Каждый Трест является единым предприятием, в состав которого входит одна или несколько производственных единиц (заведывающий) как то: фабрик, заводов, промыслов, отделений, магазинов и т. п., перечисленных в его уставе.

Ст. 4. Трест владеет, пользуется и распоряжается представленным ему государственным имуществом, а равно производит свои операции на общем основании гражданских законов с теми из'ятиями, которые установлены или будут установлены в особых законах. Равным образом на основании гражданских законов ст. 21 Гр. Код. земля, ее недра, воды и леса предоставляются Тресту на право пользования.

Ст. 5. Отношение Трестов к Профсоюзам регулируется действующими и специально на этот предмет издаваемыми постановлениями.

საგანზე სპეციალურად გამოცემული დად-გენილებებით.

## II. დაარსება და რეგისტრაცია.

მუხ. 6. ყოველი ტრესტის დაარსებისათვის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო შეადგენს განსაკუთრებულ წესდებას, რომელშიდაც უკლებლივ უნდა აღნიშნოს:

ა) ტრესტის სახელწოდება (ფირმა), გამგეობის სამყოფელი ადგილი, აგრეთვე ნუსხა ტრესტის საწარმოებისა და მათი ადგილსამყოფელი;

ბ) საწარმოს საგანი;

გ) მოქმედების ვადა, უკეთუ იგი დაწესებულია;

დ) ტრესტის დაარსების დროს გაცემული საწესდებო კაპიტალის რაოდენობა (მუხ. 13) ჩერვონეცის მანეთობით;

ე) გამგეობის რიცხვობრივი შედგენილობა და უფლებამოსილება.

აღნიშნულ წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს სხვა დადგენილებაც, რაც კანონის საწინააღმდეგო არ იქნება.

მუხ. 7. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს იმ ქონების (საწესდებო კაპიტალის) შედგენილობას, რაც ტრესტს უნდა გადაეცეს, შეადგენს აღნიშნული ქონების საინვენტარო აღწერილობას და შეაფასებს მას არსებული საბაზრო ფასებისამებრ ჩერვონეცის მანეთზე გადატანით.

**შენიშვნა.** საერთო წესი შეფასებისა და საინვენტარო აღწერილობის შედგენისათვის განისაზღვრება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებული ინსტრუქციით და დამტკიცდება საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ.

მუხ. 8. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო წარუდგენს ტრესტის წესდებას დასამტკიცებლად საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

მუხ. 9. წესდების დამტკიცებისას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო დანიშნავს ტრესტის გამგეობას და განსაკუთრებული აქტით გადასცემს მას ტრესტის გამგეობას და განსაკუთრებული აქტით გადასცემს მას ტრესტის მთელ ქონებას ზემოაღნიშნული აღწერილობისა და შეფასების თანახმად.

გამგეობა შეამოწმებს აღწერილობას და შეფასებას და შეადგენს შესავალ ბა-

## II. Учреждение и регистрация.

Ст. 6. При учреждении каждого Треста ВСНХ составляется особый устав с точным обозначением:

а) наименования (фирмы) Треста, местонахождения его Правления, а равно перечня заведений Треста и их местонахождения;

б) предмета—предприятия;

в) срока действия, если таковой установлен;

г) размера представляемого Тресту при его основании уставного капитала (ст. 13), выраженного в червонных рублях;

д) численного состава и полномочий правления.

В означенный устав могут быть включаемы и другие. не противоречащие законам, постановления.

Ст. 7. В НХ определяет состав имущества (уставного капитала), предназначенного для передачи Тресту, и составляет этому имуществу инвентарную опись и оценку по существующим рыночным ценам с переводом на червонные рубли.

**Примечание.** Общий порядок составления инвентарных описей и оценки определяется особой инструкцией ВСНХ и утверждается ВЭС Грузии.

Ст. 8. ВСНХ представляет устав Треста на утверждение ВЭС Грузии.

Ст. 9. По утверждении устава ВСНХ назначает Правление Треста и передает ему, по особому акту, все имущество Треста, согласно вышеуказанной описи и оценки.

Правление проверяет опись и оценку и составляет вступительный баланс, о чем составляется протокол

Ст. 10. В двухнедельный срок после приемки имущества, по заявлению Правления, производится регистрация Треста тем учреждением и порядком кои установлены для смешанных акционерных обществ, причем Правление представляет в заверенных копиях:

а) утвержденный устав Треста в 3 экземплярах,

б) постановление ВСНХ о назначении членов Правления,

ლანსს, რის შესახებაც უნდა შესდგეს ოქმი.

მუხ. 10. ორი კვირის განმავლობაში ქონების ჩაბარების შემდეგ, გამგეობის განცხადებისამებრ მოხდება ტრესტის რეგისტრაცია იმ დაწესებულების მიერ, რომელიც საერთოდ ახდენს შერეულ სააქციო საზოგადოებათა რეგისტრაციას და იმ წესით, რაც შემოღებულია აღნიშნულ საზოგადოებათა რეგისტრაციისათვის; ამასთანავე გამგეობა წარადგენს შემოწმებულ ასლად:

ა) ტრესტის დამტკიცებულ წესდებას სამ ცალად;

ბ) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას გამგეობის წევრთა დანიშვნის შესახებ;

გ) ჩაბარებული ქონების აღწერილობას და შეფასებას;

დ) შესავალ ბალანსს;

ე) სარევიზიო კომისიის ოქმს შესავალი ბალანსის შემოწმების შესახებ.

მუხ. 11. რეგისტრაციის მომხდენი დაწესებულება რეგისტრაციის მოხდენის შემდეგ გამოაქვეყნებს ამას ოფიციალურ ორგანოში ტრესტის ხარჯით; საამისო პუბლიკაციაში უნდა აღინიშნოს;

ა) ტრესტის ფირმა და გამგეობის სამყოფელი ადგილი;

ბ) ტრესტის წესდებაში აღნიშნული საგანი საწარმოსი;

გ) შესავალი ბალანსი.

მუხ. 12. ტრესტის წესდების, ან მისი ძირითადი კაპიტალის ანდა გამგეობის პირადი შედგენილობის შემდგომი შეცვლა დამტკიცდება და მოგვარდება იმავე წესით.

### III. ტრესტის ქონება და პასუხისმგებლობის წესი.

მუხ. 13. სახელმწიფოს მიერ ტრესტისათვის გადაცემული და წესდებაში აღნიშნული კაპიტალი არის ტრესტის საწესდებო კაპიტალი. ტრესტის საწესდებო კაპიტალი გამოიხატება ჩერვონცების მანეთებით.

> **შენიშვნა.** მიწა, მიწის წიაღი, ტყე და წყალი ტრესტის კაპიტალის შედგენილობაში არ ჩაირიცხება და ბალანსში არ აღინიშნება, ხოლო ტრესტის წესდებაში, ანგარიშში და გამოქვეყნებულ ბალანსში აუცილებლად უნდა აღინიშნოს განსაკუთრებული ბალანსგარეშე

в) опись и оценку принятого имущества,

г) вступительный баланс,

д) протокол ревизионной комиссии о проверке вступительного баланса.

Ст. 11. Учреждение, производящее регистрацию, после совершения таковой, производит за счет Треста публикацию в оффициальном органе о состоявшейся регистрации треста; в публикации обозначаются:

а) Фирма Треста и местонахождение его Правления,

б) указанный в уставе Треста предмет предприятий,

в) вступительный баланс.

Ст. 12. Последующие изменения в уставе Треста или его уставном капитале, или в личном составе его Правления утверждаются и регулируются тем же порядком.

### III. Имущество и порядок ответственности треста.

Ст. 13. Капитал, передаваемый государством Тресту и фиксированный в уставе последнего, является уставным капиталом Треста. Уставный капитал выражается в червонцах.

> **Примечание.** Земля, ее недра, воды и леса в состав капитала Треста не включаются и по балансу не проводятся. Однако, в уставе Треста, его отчете и публикуемых балансах, обязательно показывается особой внебалансовой статьей количество десятин земли и леса, коими Трест пользуется, со справкой об их средних довоенных ценах в червонцах, а равно и связанная с пользованием землей, ее недрами, водами и лесами—рента.

Ст. 14. Уставный капитал Треста распадается на:

а) основной и б) оборотный. Под основным капиталом понимается все имущество, которое не уничтожается целиком в одном акте производства, как то: фабричные и другие строения, машины, оборудование, инструменты, живой и мертвый инвентарь и т. п.

მუხლით, თუ რამდენი დესიატინაა მიწა და ტყე, რასაც ტრესტი სარგებლობს; უნდა აღინიშნოს აგრეთვე ცნობა როგორი იყო ომამდე ამ მიწისა და ტყის საშუალო ფასი ჩერვონცებით და აგრეთვე მიწისა, მიწის წიაღისა, ტყისა და წყლის სარგებლობასთან დაკავშირებული რენტა.

მუხ. 14. ტრესტის საწესდებო კაპიტალი განიყოფება:

ა) ძირითად და ბ) საბრუნავ კაპიტალად ძირითადი კაპიტალი არის ძთლად ის ქონება, რაც სრულიად არ მოხმარდება წარმოების ერთ რომელიმე საქმეს, როგორიც არის მაგალითად: საფაბრიკო და სხვა ნაგებობა, მანქანა, მოწყობილობა, იარაღები, სულიერი და უსულო ინვენტარი და სხვ. საბრუნავი კაპიტალი არის ფული, ფასიანი ქაღალდები, პროდუქცია და აგრეთვე ყოველგვარი საგანი, რაც წარმოების პროცესში შეიძლება მხოლოდ ერთხელ იქნეს მოხმარებული, მაგალითად: სათბობი, ნედლეული სხვა და სხვა გვარი მასალა და სხვ.

მუხ. 15. უკეთუ ტრესტის ქონებაზე მიქცეულ იქნება რაიმე გადასახდელი, ამისათვის დაცულ უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) იმ ქონებაზე, რაც თავისი ხასიათით, თანახმად მე 14 მუხლისა, საბრუნავ კაპიტალს მიეკუთვნება, გადასახდელი მიიქცევა იმავე წესით, როგორც კერძო პირის ქონებაზე.

**შენიშვნა.** დავა, რაც გადასახდელის გადახდევინების დროს აღიძვრის იმის შესახებ, თუ რომელ კაპიტალს ეკუთვნის ქონება— საბრუნავს, თუ ძირითადს, გადაწყდება იმ ადგილის სასამართლოს მიერ, სადაც სადავო ქონებაა.

ბ) იმ ქონებაზე, რაც ძირითად კაპიტალს მიეკუთვნება, როგორც ტრესტისათვის გადაცემულს (მისი დაარსების დროს), ისე შემდგომ შეძენილს, გადასახდელი შეიძლება მიქცეულ იქნეს მხოლოდ იმ წესით, რაც აღნიშნულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლში და მის შენიშვნაში და აგრეთვე ამა დებულების 26 მუხლის „ა“ პუნქტში.

Под оборотным капиталом понимаются деньги, ценные бумаги, продукция, а равно все предметы, которые могут быть только однажды использованы в процессе производства, как то: топливо, сырье, разные материалы и т. п.

Ст. 15. При обращении взыскания на имущество Треста соблюдается следующие правила:

а) На имущество, относящееся по роду своему, согласно ст. 14-ой, к оборотному капиталу, взыскивания обращаются таким же порядком, как на имущество частных лиц.

**Примечание.** Споры о принадлежности имущества к оборотному или основному капиталу, возникающие при производстве взыскания, разрешаются подлежащим судом по месту нахождения спорного имущества.

